ინტერნეტის ჭარბად გამოყენება, ონლაინ თამაშები და ემოციური ინტელექტი

სტუდენტი: მაგდა მამისაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად.

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

1.1განაცხადი

„როგორც, წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს. რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მაგდა მამისაშვილი, 30.06.2020

1.2 აბსტრაქტი

ინტერნეტი თანამედროვე ეპოქის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაა. იგი, ერთი მხრივ, აიოლებს ცხოვრებას, ხოლო მეორე მხრივ, კაცობრიობას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ერთ-ერთი ამგვარი გამოწვევაა ინტერნეტის ჭარბი გამოყენება.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის, მიზანია ინტერნეტის ჭარბად გამოყენების (ონლაინ თამაშების, ონლაინ აზარტული თამაშებისა და სოციალური მედიის მოხმარების ჩათვლით) კავშირის დადგენა, ერთი მხრივ - ემოციურ ინტელექტთან, და მეორე მხრივ - კოვიდის პანდემიასთან დაკავშირებულ დახშულობის გამოცდილებასთან.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მიდგომის კერძოდ, ონლაინ გამოკითხვის მეთოდით, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 18-დან 43 წლამდე ასაკის, 171 სტუდენტში. მონაწილეები შევარჩიეთ ხელმისაწვდომობის შერჩევის მეთოდით. კვლევის ინსტრუმენტი შევადგინეთ სამი კომპონენტისგან: ემოციური ინტელექტის კითხვარი (Emotional Intelligence Questionnaire-Leadership Academy), ინტერნეტის ჭარბი გამოყენების ტესტი (IAT, Young, 1998) და ESPAD - კითხვარიდან აღებული სოციალური მედიისა და ონლაინ თამაშების შესაბამისი შეკითხვები.

კვლევამ გამოავლინა, რომ ემოციური ინტელექტის დაბალი დონე დაკავშირებულია ინტერნეტის ($r= - .17$, $N=171$, $p<0.05$) და ონლაინ თამაშების ($r=-.17$, $N=171$, $p<0.05$) ჭარბად მოხმარებასთან, კერძოდ, ემოციური ინტელექტის კომპონენტებიდან, საკუთარი თავის მოტივირების უნარი არის უარყოფით კორელაციაში აღნიშნულ ქცევით დამოკიდებულებებთან და შესაბამისად, თამაშობს დაცვითი ფაქტორის როლს.

კვლევამ გამოავლინა გარკვეული გენდერული განსხვავებები: ქალებში საკუთარი თავის მოტივირება უარყოფით კორელაციაშია სოციალური მედიის მოხმარებასთან ($r=-.2$, $N=122$, $p<0.05$), ხოლო კაცებში საკუთარი თავის მოტივირება უარყოფით კორელაციაშია ონლაინ თამაშთან ($r=-.3$ $N=49$, $p<0.05$).

კვლევამ, ასევე, გამოავლინა რომ პანდემიის დროს გაიზარდა ონლაინ აზარტული თამაშების (აპრილში N=171, M=1.16, SD=0.4, თებერვალში N=171, M=1.14, SD=0.4) ონლაინ თამაშების (აპრილში N=171, M=3.7, SD=2.8, თებერვალში N=171, M=1.7, SD=1.3) და სოციალური მედიის მოხმარება (აპრილშიN=171, M=8.73, SD=2.5, თებერვალში N=171, M=7.88, SD=2.5), აღნიშნული მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p<0.05$).

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, ინტერნეტის ჭარბად გამოყენება, სოციალური მედია, ონლაინ თამაშები, ონლაინ აზარტული თამაშები, პანდემია.

Abstract

Today internet is the most widespread means of mass communication. This brings lots of opportunities to the mankind; at the same time, it contains a number of challenges. Excessive use of internet is one of those.

The purpose of this study was to explore the relationship between excessive use of the internet (including, online gaming, online gambling, and Social media) and emotional intelligence and to check whether lockdown related to the COVID-19 pandemics influenced scale of internet use (again – including online gaming, gambling and social media consumption)

The study implied a quantitative approach, in particular, an online survey, conducted among 171 students of the different Georgian universities, within age range from 18 to 43, selected by the means of convenience sampling method. The study questionnaire consisted of the following sections: Emotional intelligence scale (Emotional Intelligence Questionnaire-Leadership Academy), Excessive use of internet questionnaire (IAT, Young, 1998), use of Social media, online gaming and online gambling questions (extracted from the ESPAD survey questionnaire).

According to the study results, emotional intelligence is negatively correlated with excessive use of the internet ($r= - .17$, $N=171$, $p<0.05$) and online gaming ($r=-.17$, $N=171$, $p<0.05$). in particular, out of the emotional intellect's component, the ability to self-motivate is negatively correlated with these behavioral addictions and consequently, serves as protective factor.

The study revealed certain gender differences: self-motivation in women is negatively correlated with social media consumption ($r=-.2$, $N=122$, $p<0.05$), while self-motivation in men ($r=-.3$ $N=49$, $p<0.05$) is negatively correlated with online gaming.

The study reveals differences in frequency of online gambling, online gaming, and social media use before and after the Covid-19 pandemic and corresponding lockdown. Namely during the pandemic increase was observable in online gambling (April $N=171$, $M=1.16$, $SD=0.4$, February $N=171$, $M=1.14$, $SD=0.4$), online gaming (April $N=171$, $M=3.7$, $SD=2.8$, February $N=171$, $M=1.7$,

SD=1.3), and Social media consumption (April N=171, M=8.73, SD=2.5, February N=171, M=7.88, SD=2.5).

Key words: Emotional intelligence, overuse of the internet, social media, online gaming, online gambling, pandemic.

1.3 მადლობა

მადლობას ვუხდი, კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ქ-ნ დარეჯან ჯავახიშვილს, გაწეული დახმარებისათვის და მიღებული საინტერესო, ცოდნის მომცემი გამოცდილებისათვის.